ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4913415

ნომერი: AR1741467

თარიღი : 23.03.2020

გაცემის თარიღი : 30.03.2020

გაცნობის თარიღი : 30.03.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, 17 შინდისელი გმირის ქუჩა, N 9, ქალაქი თბილისი, 17 შინდისელი გმირის ქუჩა N11-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ჯაფარიძე პ/ნ 01009008406
- რატევანის ქ. 15

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექურის სამსახურის 09/08/2019წ. №4624367 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 23 მარტს AR1741467 განცხადებით მომართა მოქალაქე გიორგი ჯაფარიძემ და მოითხოვა სამსახურის 09/08/2019წ. №4624367 ბრძანებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექურის სამსახურის2019 წლის 9 აგვისტოს №4624367 ბრძანებით, №01.19.36.001.514 და 01.19.36.001.515 (1324 კვ.მ) საკადასტრო ერთეულებზე მრავალფუნქციური კომპლექსის

ასაშენებლად დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 9 სექტემბრის 01.01192528 ბრძანებით გაიცა სპეციალური ზონალური შეთანხმება მრავალფუნქციური კომპლექსის ერთ-ერთი შემადგენელი ფუნქციის, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსებისა და მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2 5.0) გადამეტების მიზნით;
29/10/2019 წლის № 4730712 ბრძანებით შევიდა ცვლილება 09/08/2019წლის N462437 ბრძანებით დამტკიცებულ სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და დაფიქსირდა მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი №01.19.36.001.253 (მიწის ნაკვეთის ფართობი 1324.00 კვ.მ), ასევე ობიექტის ფუნქციად დაფიქსირდა მრავალფუნქციური კომპლექსი - საცხოვრებელი, საოფისე, კომერციული;
19/03/2020წლის 01.012007910 ბრძანებით შევიდა ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 9 სექტემბრის N:ბ01.01192528 ბრძანებაში და მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვრა კ-2=4.9;
წინამდებარე განაცხადით მოთხოვნილია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 09/08/2019წ. №4624367 ბრძანებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა და ს/კ 01.19.36.001.253 და 01.19.36.001.254 მიწის ნაკვეთების გაერთიანების შედეგად ფორმირებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის - №01.19.36.001.522 (მიწის ნაკვეთის ფართობი 1455 კვ.მ) დაფიქსირება.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია შეიტანოს ცვლილება 09/08/2019წ. №4624367 ბრძანებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

ვბრძანებ

1. 1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 09/08/2019წ. №4624367 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ :
ა) დაფიქსირდეს განახლებული საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი 01.19.36.001.522 ფართობი 1455 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი 882020170316, მომზადების თარიღი: 04/03/2020 წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
ბ) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი დაფიქსირდეს კ-2=4.9;

2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის № 4624367,09/08/2019(№ 4730712 - 29/10/2019) ბრძანებ(ებ)ით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

• I თავი ასახავს საფუძველმდებარე ინფორმაციას - საყრდენი მონაცემები მიწის ნაკვეთის შესახებ რომლის, ანრომელზე მდგომი შენობა-ნაგებობის განვითარებაც არის დაგეგმილი;

- II თავში მოცემულია ძირითადი მოთხოვნები (პირობები) - კანონმდებლობით უშუალოდ გათვალისწინებულივალდებულებები, მიწის ნაკვეთის (და შენობა-ნაგებობის) სამშენებლო განვითარებაზე;
- III თავში მოცემულია დამატებითი ან/და სპეციალური მოთხოვნები, რომელიც გათვალისწინებულია „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57დადგენილებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენლებით „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების” და სხვა მოქმედი ტექნიკურირეგლამენტებითა და ნორმატივებით;
- IV თავი შეიცავს ზოგად ინფორმაციას მშენებლობის ნებართვის II და III სტადიებთან დაკავშირებით.